საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბერიძე რევაზ ვახტანგის ძე

ბერიძე რევაზ ვახტანგის ძე (დ. 25. VII. 1943, თბილისი), არქიტექტორი, მხატვარი.

დაამთავრა თბილ. სამხატვრო აკადემია (1966). ძირითადი განხორციელებული ნამუშევრები: საბაგირო გზის ქვედა და ზედა სადგურების შენობები ქ. სოჭში (1977; გ. ნადირაძესთან, გ. ხეჩინაშვილთან ერთად), სხვადასხვა სამუზეუმო და სამხატვრო გამოფენის ექსპოზიციები (1970 – 80-იანი წწ.; გ. აბაკელიასთან ერთად) და სხვ.

ავტორია ნატურიდან შესრულებული დოკუმენტური არქიტექტ. ჩანახატების დასტამბული 3 ალბომისა „ძველი თბილისი“ (1972, XIX ს. თბილისური საცხოვრებელი სახლები, ქუჩები და მოედნები, რ-თა ნაწილი აღარ არსებობს); „ძველი ქართული ქალაქები“ (1977, თბილისის, ქუთაისის, თელავის, სიღნაღის, დუშეთის ძვ. უბნები); „ქართული ტაძრების ინტერიერები“ (1983, შუა საუკ. უმნიშვნელოვანესი საკულტო ძეგლები); აგრეთვე გრაფიკული და ფერწერული ნატურმორტებისა და პეიზაჟების ალბომებისა.

ს. კინწურაშვილი